საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 2139-03
16/12/2024

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2024 წლის 31 იანვრის N80-03 , 2024 წლის 5 აგვისტოს N1044-03 და 2024 წლის 30 აგვისტოს N1253-03 ბრძანებებში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის" წესდების მე-18 მუხლის 1-ელი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, აკადემიური საბჭოს 2024 წლის 16 დეკემბრის N13 სხდომის გადაწყვეტილების, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2024 წლის 16 დეკემბრის N22130-35 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით,

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო და მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისათვის 2024-2025 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ" ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2024 წლის 31 იანვრის N80-03 ბრძანების დანართში და ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების პირველი დანართის სახით;

2. შევიდეს ცვლილება „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულის, როგორც მეორე ენისა და ინტეგრაციის პროგრამის სტუდენტებისთვის 2024-2025 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ" ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2024 წლის 5 აგვისტოს N1044-03 ბრძანების დანართში და ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების მეორე დანართის სახით;
3. შევიდეს ცვლილება „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის 2024-2025 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ" ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2024 წლის 30 აგვისტოს N1253-03 ბრძანების დანართში და ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების მესამე დანართის სახით;
4. დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ამ ბრძანების პირველი, მეორე და მესამე პუნქტებით განსაზღვრულ დანართებში მითითებული ინფორმაცია განათავსოს უნივერსიტეტის ვებ.გვერდზე;
5. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას, ეს ბრძანება გააცნოს უნივერსიტეტის ფაკულტეტებს/სკოლას და ყველა სტრუქტურულ ერთეულს.

ნინო დობორჯგინიძე

რექტორი